დანართი N1

განცხადება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად;

2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 01 მაისს 10:00 საათიდან და დასრულდეს 2019 წლის 08 მაისს 17:00 საათზე. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველ დღე შაბათ-კვირის ჩათვლით, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე. მისამართი ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1 (უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსი, მეორე სართული, ოთახი N 27);

3. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო დღედ განისაზღვროს 2019 წლის 13 მაისი;

4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი (მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

ბ) სამოქმედო გეგმა;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ე) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

25.04.2019 წ.